განკარგულება:**გ-87. 87230322**
თარიღი:**01/02/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №3

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას მასზე, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 13 (ცამეტი) ერთეულით:

ა) მიკროავტობუსის მძღოლი - 1;

ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი -1;

გ) მძღოლები მერიაში - 4;

დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი - 1;

ე) მერის მრჩეველი - 2;

ვ) მერის თანაშემწე - 1;

ზ) მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1;

თ) ტექნიკური სპეციალისტი - 1;

ი) მერის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში - 1.“.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM